

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 300

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა

(ძალაშია 2009 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის)

შინაარსი

პუნქტები

შესავალი

ასს 300-ის მოქმედების სფერო	1
ძალაში შესვლის თარიღი	3
მიზანი	4

მოთხოვნები

გარიგების გუნდის წამყვანი წევრების მონაწილეობა	5
გარიგების დადებამდე ჩასატარებელი სამუშაო	6
დაგეგმვის სამუშაოები	7-11
დოკუმენტაცია	12
დამატებითი მოსაზრებები პირველი აუდიტის გარიგების შესახებ	13

გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა

დაგეგმვის როლი და ვადები	გ1-გ3
გარიგების გუნდის წამყვანი წევრების მონაწილეობა	გ4
გარიგების დადებამდე ჩასატარებელი სამუშაო	გ5-გ7
დაგეგმვის სამუშაოები	გ8-გ17
დოკუმენტაცია	გ18-გ21
დამატებითი მოსაზრებები პირველი აუდიტის გარიგების შესახებ	გ22
დანართი: აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი საკითხები	

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 300 - „*ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა*“ - უნდა განიხილებოდეს ასს 200-თან - „*დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად*“ - ერთად.

შესავალი

ასს 300-ის მოქმედების სფერო

1. წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) ეხება აუდიტორის პასუხისმგებლობას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვაზე. მოცემული სტანდარტი შედგენილია განმეორებითი აუდიტისთვის. პირველი აუდიტის გარიგების დროს დამატებით გასათვალისწინებელი საკითხები სტანდარტში ცალკეა ჩამოყალიბებული.
2. აუდიტის დაგეგმვა მოიცავს კონკრეტული გარიგებისთვის აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრას და აუდიტის გეგმის შემუშავებას. გარიგების დონეზე ხარისხის მართვა ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად, წინამდებარე ასს-ის მიხედვით ადეკვატურ დაგეგმვასთან ერთად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებას ხელს უწყობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის: (იხ: პუნქტები გ1-გ4)
 - აუდიტორს ეხმარება, სათანადო ყურადღება დაუთმოს აუდიტის მნიშვნელოვან სფეროებს;
 - აუდიტორს ეხმარება, რომ გამოკვეთოს პოტენციური პრობლემები და დროულად გადაჭრას ისინი;
 - აუდიტორს ეხმარება აუდიტის გარიგების სათანადო დონეზე ორგანიზებასა და წარმართვაში, რათა აუდიტი მწარმოებლურად და ეფექტიანად ჩატარდეს;
 - ეხმარება სათანადო დონის შესაძლებლობებისა და კომპეტენციების მქონე გარიგების გუნდის წევრების შერჩევაში, სავარაუდო რისკებზე რეაგირების მიზნით და მათთვის სამუშაოს სათანადოდ განაწილებაში;
 - აადვილებს გარიგების გუნდის წევრებისთვის მიმართულებების მიცემასა და მათი სამუშაოს მიმოხილვას;
 - საჭიროების შემთხვევაში, ხელს უწყობს სუბიექტის კომპონენტების აუდიტორებისა და ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაოების კოორდინაციას.

ძალაში შესვლის თარიღი

3. წინამდებარე ასს ძალაშია 2009 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.

მიზანი

4. აუდიტორის მიზანია, იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს.

მოთხოვნები

გარიგების გუნდის წამყვანი წევრების მონაწილეობა

5. გარიგების პარტნიორი და გარიგების გუნდის სხვა წამყვანი წევრები ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ აუდიტის დაგეგმვაში, მათ შორის, გარიგების გუნდის წევრებს შორის განხილვების დაგეგმვასა და მონაწილეობაში. (იხ: პუნქტი გ4)

გარიგების დადებამდე ჩასატარებელი სამუშაო

6. აუდიტორმა მიმდინარე აუდიტის დასაწყისში უნდა შეასრულოს შემდეგი სამუშაო:
 - ა) ჩაატაროს ასს 220-ით (გადასინჯული) მოთხოვნილი პროცედურები, რომლებიც ეხება დამკვეთებთან ურთიერთობის დამყარებასა და გაგრძელებას, ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასა და გაგრძელებას;¹
 - ბ) შეაფასოს სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა, ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად;² და
 - გ) უზრუნველყოს გარიგების პირობების ურთიერთგაგება ასს 210-ის მოთხოვნების შესაბამისად.³ (იხ: პუნქტები გ5-გ7)

დაგეგმვის სამუშაოები

7. აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს აუდიტის საერთო სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის მასშტაბს, ვადებსა და მიმართულებებს და სახელმძღვანელო მითითებებს აუდიტის დეტალური გეგმის შესადგენად.
8. აუდიტის საერთო სტრატეგიის შემუშავებისას, აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და:
 - ა) დაადგინოს გარიგების ისეთი თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავს მის მასშტაბს;

1. ასს 220 (გადასინჯული) - „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა“, პუნქტები 22-24-ე.

2. ასს 220 (გადასინჯული), პუნქტები მე-16-21.

3. ასს 210 - „აუდიტის გარიგების პირობებზე შეთანხმება“, პუნქტები მე-9-13.

- ბ) დააზუსტოს მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, რათა დაგეგმოს აუდიტის ვადები და აუცილებელი ინფორმირების ხასიათი;
 - გ) განიხილოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც, აუდიტორის პროფესიული შეფასებით, განსაზღვრავს გარიგების გუნდის საქმიანობის მიმართულეზას;
 - დ) განიხილოს გარიგების დადებამდე ჩატარებული წინასწარი სამუშაოების შედეგები და, როდესაც შესაფერისია, დაადგინოს, მოცემულ აუდიტში გამოდგება თუ არა გარიგების პარტნიორის მიერ სუბიექტისთვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან შეძენილი ცოდნა; და
 - ე) დააზუსტოს მოცემული გარიგების შესასრულებლად აუცილებელი რესურსების ხასიათი, მათი გამოყენების ვადები და მოცულობა.⁴ (იხ: პუნქტები გ9-გ13)
9. აუდიტორმა უნდა შეიმუშაოს აუდიტის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგი საკითხების აღწერას:
- ა) გარიგების გუნდის წევრების ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის და მათი სამუშაოს მიმოხილვის დაგეგმილი ხასიათი, ვადები და მასშტაბი; (იხ. გ16-გ17 პუნქტები)
 - ბ) დაგეგმილი რისკის შეფასების პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ასს 315-ის (გადასინჯული 2019 წელს) თანახმად;⁵
 - გ) მტკიცების დონეზე დაგეგმილი დამატებითი აუდიტის პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ასს 330-ის თანახმად;⁶
 - დ) სხვა დაგეგმილი აუდიტის პროცედურები, რომელთა ჩატარება აუცილებელია, რათა გარიგება შეესაბამებოდეს ასს-ებს. (იხ: პუნქტები გ12-გ14)
10. აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიტორმა უნდა განაახლოს და შეცვალოს აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა აუდიტის მსვლელობისას. (იხ: პუნქტი გ15)

დოკუმენტაცია

11. აუდიტორმა აუდიტის დოკუმენტაციაში უნდა შეიტანოს.⁷

4. ასს 220 (გადასინჯული), 25-ე პუნქტი.

5. ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს) - „არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება“.

6. ასს 330 - „აუდიტორის პროცედურები შეფასებულ რისკებზე რეაგირებისათვის“.

7. ასს 230 - „აუდიტის დოკუმენტაცია“, პუნქტები მე-8-11 და გ6.

- ა) აუდიტის საერთო სტრატეგია;
- ბ) აუდიტის გეგმა; და
- გ) აუდიტის გარიგების მსვლელობისას აუდიტის საერთო სტრატეგიაში ან აუდიტის გეგმაში, მათ შორის გარიგების გუნდის წევრების ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის და მათი სამუშაოს მიმოხილვის დაგეგმილ ხასიათში, ვადებსა და მასშტაბში შეტანილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება და ასეთი ცვლილების მიზეზები⁸. (იხ: პუნქტები გ19-გ23)

დამატებითი მოსაზრებები პირველი აუდიტის გარიგების შესახებ

12. პირველი აუდიტის დაწყებამდე, აუდიტორმა უნდა შეასრულოს შემდეგი სამუშაო:
- ა) ჩაატაროს ასს 220-ით (გადასინჯული) მოთხოვნილი პროცედურები, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას და დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებას;⁹ და
 - ბ) სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად დაუკავშირდეს წინამორბედ აუდიტორს, თუ აუდიტორები შეიცვალა. (იხ: პუნქტი გ22)

* * *

გამოყენება და სხვა ახსნა-განმარტებითი მასალა

დაგეგმვის როლი და დრო (იხ. მე-2 პუნქტი)

- გ1. ასს 220 (გადასინჯული) ეხება ფინანსური ანგარიშგების აუდიტში აუდიტორის კონკრეტულ პასუხისმგებლობას გარიგების დონეზე ხარისხის მართვასთან დაკავშირებით, ასევე გარიგების პარტნიორის შესაბამის პასუხისმგებლობას. ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების შესრულების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია რელევანტურია წინამდებარე ასს-თვის. მაგალითად, ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად გარიგების პარტნიორმა უნდა დაადგინოს, რომ გარიგების გუნდისთვის გამოყოფილი ან ხელმისაწვდომია გარიგების შესასრულებლად საჭირო საკმარისი და ადეკვატური რესურსები, მოცემული აუდიტის გარიგების ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით.

8. ასს 220 (გადასინჯული), პუნქტები 30-ე და გ91-გ92.

9. ასს 220 (გადასინჯული), პუნქტები 22-24-ე.

ამის დადგენა უშუალოდ არის დაკავშირებული წინამდებარე ასს-ის მე-8 პუნქტის მოთხოვნების შესრულებასთან, რომლებიც ეხება აუდიტის საერთო სტრატეგიის შემუშავებისას მოცემული გარიგების შესასრულებლად აუცილებელი რესურსების ხასიათის, მათი გამოყენების ვადებისა და მოცულობის განსაზღვრას.

გ2. დაგეგმვის სამუშაოთა ხასიათი და მოცულობა განსხვავებული იქნება სუბიექტის სიდიდისა და სირთულის და გარიგების გუნდის წამყვანი წევრების ამ სუბიექტთან მუშაობის ადრინდელი გამოცდილების მიხედვით, ასევე აუდიტის მიმდინარეობისას გარემოებებში მომხდარი ცვლილების შესაბამისად. აუდიტის დაგეგმვის პროცესში აუდიტორს შეუძლია პროექტის მართვის მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება. ასს 220-ში (გადასინჯული)¹⁰ აღწერილია, როგორ დაეხმარება გარიგების გუნდს ამგვარი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება გარიგების ხარისხის მართვაში.

გ3. დაგეგმვა არ წარმოადგენს აუდიტის იზოლირებულ ფაზას, არამედ იგი უწყვეტი და იტერაციული პროცესია, რომელიც ხშირად მალევე იწყება წინა აუდიტის დამთავრების შემდეგ (ან დამთავრებასთან ერთად) და გრძელდება მიმდინარე აუდიტის გარიგების დასრულებამდე. ამასთან, დაგეგმვა ითვალისწინებს გარკვეული სამუშაოებისა და აუდიტის პროცედურების ვადებს, რომლებიც უნდა დამთავრდეს შემდგომი დამატებითი აუდიტის პროცედურების ჩატარებამდე. მაგალითად, დაგეგმვა მოიცავს ისეთი საკითხების გათვალისწინების აუცილებლობას აუდიტორის მიერ არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენამდე და შეფასებამდე, როგორცაა:

- ანალიზური პროცედურები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს რისკის შეფასების პროცედურების სახით;
- კონკრეტული სუბიექტისთვის შესაფერისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის შესახებ საერთო წარმოდგენის შექმნა და როგორ იცავს სუბიექტი მის მოთხოვნებს;
- არსებითობის განსაზღვრა;
- ექსპერტების მონაწილეობა;
- რისკის შეფასების სხვა პროცედურების ჩატარება.

გ4. აუდიტორს შეუძლია გადაწყვიტოს დაგეგმვის ელემენტების განხილვა სუბიექტის ხელმძღვანელობასთან ერთად, რაც აუდიტორს დაეხმარება გარიგების დონეზე ხარისხის მართვასა და უზრუნ-

¹⁰ ასს 220 (გადასინჯული), გ73-გ74 პუნქტები.

ველყოფაში (მაგალითად, ზოგიერთი დაგეგმილი აუდიტის პროცედურის სუბიექტის პერსონალის სამუშაოებთან კოორდინირებისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი განხილვები ხშირად ტარდება, აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტის გეგმაზე პასუხისმგებლობა მაინც აუდიტორს ეკისრება. აუდიტის საერთო სტრატეგიაში ან აუდიტის გეგმაში შემავალი საკითხების განხილვისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რათა ზიანი არ მიადგეს აუდიტის ეფექტიანობას. მაგალითად, ხელმძღვანელობასთან დეტალური აუდიტის პროცედურების ხასიათისა და ვადების განხილვამ შეიძლება აუდიტის ეფექტიანობას ზიანი მიაყენოს იმით, რომ აუდიტის პროცედურები გახდება ზედმეტად პროგნოზირებადი.

გარიგების გუნდის წამყვანი წევრების მონაწილეობა (იხ: მე-5 პუნქტი)

გ5. გარიგების პარტნიორისა და გარიგების გუნდის სხვა წამყვანი წევრების მონაწილეობა აუდიტის დაგეგმვაში მოითხოვს მათ გამოცდილებას და გამჭრიახობას, რაც გაზრდის დაგეგმვის პროცესის მწარმოებლურობასა და ეფექტიანობას.¹¹

გარიგების დადებამდე ჩასატარებელი სამუშაო (იხ: მე-6 პუნქტი)

გ6. მიმდინარე აუდიტის გარიგების დასაწყისში, მე-6 პუნქტში მითითებული გარიგების დადებამდე წინასწარი სამუშაოების ჩატარება აუდიტორს ეხმარება იმ მოვლენების ან გარემოებების გამოვლენასა და შეფასებაში, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს აუდიტორის უნარზე, სათანადოდ მართოს და უზრუნველყოს ხარისხი გარიგების დონეზე ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად.

გ7. ზემოაღნიშნული წინასწარი სამუშაოების ჩატარება აუდიტორს შესაძლებლობას აძლევს, იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ მაგალითად:

- აუდიტორმა შეინარჩუნოს აუცილებელი დამოუკიდებლობა და გარიგების შესრულების შესაძლებლობა;
- დაადგინოს, რომ არ არსებობს ხელმძღვანელობის პატიოსნებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს აუდიტორის სურვილზე, გააგრძელოს გარიგების შესრულება;

¹¹ ასს 315-ის (გადასინჯული 2019 წელს) მე-17 და მე-18 პუნქტები ადგენს მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მითითებებს გარიგების გუნდის მიერ ჩასატარებელი განხილვისთვის, რომელიც ეხება ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების მიმართ სუბიექტის მგრძობელობას. ასს 240 - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“, მე-16 პუნქტი, უზრუნველყოფს მითითებებს იმის შესახებ, ამ განხილვის დროს როგორ უნდა გამახვილდეს ყურადღება სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მგრძობელობაზე, თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის მიმართ.

- დაადგინოს, რომ არ არსებობს დამკვეთთან გაუგებრობა გარიგების პირობებთან დაკავშირებით.

გ8. დამკვეთთან ურთიერთობის გაგრძელებასა და სათანადო ეთიკური მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის) შეფასებასთან დაკავშირებული საწყისი პროცედურების ჩატარება მიმდინარე აუდიტის დასაწყისში იმას ნიშნავს, რომ ეს პროცედურები დასრულებულია მიმდინარე აუდიტთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოების დაწყებამდე. განმეორებითი აუდიტის გარიგებისთვის, ამგვარი საწყისი პროცედურები ხშირად მალევე ტარდება წინა აუდიტის დამთავრების შემდეგ (ან დამთავრებასთან ერთად).

დაგეგმვის სამუშაოები

აუდიტის საერთო სტრატეგია (იხ: მე-7-8 პუნქტები)

გ9. აუდიტის საერთო სტრატეგიის შემუშავების პროცესი, იმ პირობით, რომ დასრულებულია რისკის შეფასების პროცედურები, შესაძლოა მოიცავდეს მაგალითად შემდეგი საკითხების განხილვას:

- რესურსების (ადამიანური, ტექნოლოგიური ან ინტელექტუალური) ხასიათი, რომლებიც უნდა გამოიყენონ აუდიტის კონკრეტულ სფეროებში, მაგალითად, გუნდის გამოცდილი წევრების გამოყენება მაღალრისკიან სფეროებში ან ექსპერტების ჩართვა რთული საკითხების გადაწყვეტაში;
- რესურსების ოდენობა, რომლებიც უნდა განაწილდეს აუდიტის კონკრეტულ სფეროებზე. მაგალითად, გუნდის წევრების რაოდენობა, რომლებიც დანიშნულნი არიან მარაგის ფიზიკურ ინვენტარიზაციაზე დასასწრებად სხვადასხვა ადგილას, ჯგუფის აუდიტის შემთხვევაში - სხვა აუდიტორების მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის მოცულობა, ან საათებში გამოხატული აუდიტის ბიუჯეტის განაწილება მაღალრისკიან სფეროებზე;
- როდის უნდა იქნეს გამოყენებული ეს რესურსები. მაგალითად, აუდიტის შუალედურ სტადიაზე თუ არსებითი საკითხების დასრულების ვადის მოახლოებისას; და
- როგორ ხდება ამ რესურსების ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა, ან გამოყენება, მაგალითად, როდის არის ნავარაუდები გუნდისთვის საწყისი და შემდგომი ინსტრუქტაჟის ჩატარება, ან გარიგების პარტნიორისა და მენეჯერის მიმოხილვების ჩატარება (მაგალითად, სამუშაო ადგილზე თუ სხვაგვარად).

გ10. ასს 220 (გადასინჯული) მოიცავს გარიგების რესურსებსა და გარიგების შესრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო მითითებებს (მათ შორის, რომლებიც ეხება გარიგების გუნდის

წევრების ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მათი სამუშაოს მიმოხილვას).

- გ11. დანართში განხილულია აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი საკითხების მაგალითები.
- გ12. როგორც კი შემუშავდება აუდიტის საერთო სტრატეგია, შესაძლებელია აუდიტის დეტალურ გეგმაზე მუშაობის დაწყება, სადაც აისახება აუდიტის საერთო სტრატეგიაში განსაზღვრული სხვადასხვა საკითხის გადაჭრის გზები, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება აუდიტორის რესურსების ეფექტიანად გამოყენების აუცილებლობა აუდიტის მიზნების მისაღწევად. აუცილებელი არ არის, რომ აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის დეტალური გეგმის შემუშავება ერთმანეთისგან იზოლირებული ან თანამიმდევრული პროცესები იყოს. პირიქით, ეს ორი პროცესი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, ვინაიდან ერთი მათგანის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი ცვლილება მეორეში.

მცირე სუბიექტებთან დაკავშირებული მოსაზრებები

- გ13. მცირე სუბიექტების აუდიტის დროს მთელი აუდიტი შეიძლება ჩაატაროს მცირერიცხოვანმა გარიგების გუნდმა. მცირე სუბიექტების აუდიტში, ხშირ შემთხვევაში, მუშაობს გარიგების პარტნიორი (რომელიც შეიძლება ინდივიდუალური პრაქტიკოსი იყოს) გარიგების გუნდის ერთ წევრთან ერთად (ან საერთოდ გარიგების გუნდის წევრების გარეშე). მცირერიცხოვან გუნდში წევრებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის მიღწევა იოლია. მცირე სუბიექტის აუდიტისთვის აუდიტის საერთო სტრატეგიის შემუშავება რთული არ არის და არც დიდ დროს მოითხოვს; აუდიტის საერთო სტრატეგია განსხვავებულია სუბიექტის სიდიდის, აუდიტის სირთულისა და გარიგების გუნდის სიდიდის მიხედვით. მაგალითად, წინა აუდიტის დამთავრებისას სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვაზე დაყრდნობით მომზადებული მოკლე დასკვნა, საიდანაც ნათლად ჩანს ახლახან დამთავრებული აუდიტის დროს წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც განახლებულია მიმდინარე პერიოდში მესაკუთრე-მმართველთან ჩატარებული განხილვების საფუძველზე, შეიძლება გამოდგეს მიმდინარე აუდიტის დოკუმენტირებული სტრატეგიის საფუძველად, თუკი მასში ასახულია მე-8 პუნქტში განხილული საკითხები.
- გ14. ასს 220 (გადასინჯული) ეხება გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას გარიგების გუნდის წევრების ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ხასიათთან, ვადებსა და მასშტაბთან და მათი სამუშაოს მიმოხილვასთან დაკავშირებით.¹²

¹² ასს 220 (გადასინჯული), 29-31-ე პუნქტები.

აუდიტის გეგმა (იხ: მე-9 პუნქტი)

- გ15. აუდიტის გეგმა უფრო დეტალურია აუდიტის საერთო სტრატეგიასთან შედარებით, იმ მხრივ, რომ იგი მოიცავს გარიგების გუნდის მიერ ჩასატარებელი აუდიტის პროცედურების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას. აუდიტის პროცედურების დაგეგმვა ხდება მთელი აუდიტის განმავლობაში, აუდიტის გეგმის შემუშავებასთან ერთად. მაგალითად, აუდიტორის მიერ რისკის შეფასების პროცედურების დაგეგმვა ხდება აუდიტის პროცესის დასაწყისში. თუმცა, კონკრეტული დამატებითი აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის დაგეგმვა დამოკიდებულია რისკების შესაფასებლად ჩატარებული პროცედურების შედეგებზე. გარდა ამისა, აუდიტორმა შეიძლება დაიწყოს ზოგიერთი კატეგორიის ოპერაციების, ანგარიშთა ნაშთებისა და განმარტებითი შენიშვნებისთვის დამატებითი აუდიტის პროცედურების შესრულება ყველა დანარჩენი დამატებითი აუდიტის პროცედურების დაგეგმვამდე.
- გ16. ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩასატარებელი რისკის შეფასების პროცედურებისა და ასევე დამატებითი აუდიტის პროცედურების ხასიათის, ჩატარების ვადებისა და მოცულობის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, რასაც განაპირობებს ერთის მხრივ, ამ ინფორმაციის მრავალფეროვნება და, მეორე მხრივ, მისი დეტალიზაციის დონე. გარდა ამისა, ამ ინფორმაციიდან ზოგიერთი შეიძლება მოპოვებული არ იყოს მთავარი და დამხმარე საბუღალტრო წიგნებიდან, რაც შეიძლება ასევე გავლენას ახდენდეს შეფასებულ რისკებსა და მათზე რეაგირებისთვის განკუთვნილი აუდიტის პროცედურების ხასიათზე, ჩატარების ვადებსა და მოცულობაზე.
- გ17. ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული ინფორმაციის განხილვა აუდიტის ადრეულ ეტაპზე, აუდიტორს ეხმარება სათანადო ყურადღების დათმობასა და სათანადო დროის გამოყოფაში (დაგეგმვაში) ამ ინფორმაციის აუდიტის ჩასატარებლად, კერძოდ, ისეთივე მეთოდებით, რომლებსაც იყენებენ ცალკეული კატეგორიის ოპერაციებთან, მოვლენებსა და ანგარიშთა ნაშთებთან მიმართებით. ამ ინფორმაციის ადრე განხილვა აუდიტორს ასევე ეხმარება აუდიტზე ისეთი ფაქტორების გავლენის დადგენაში, როგორცაა:
- მნიშვნელოვანი ახალი ან შეცვლილი ინფორმაციის გამჟღავნება, რაც განაპირობა სუბიექტის გარემოში, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაში მომხდარმა ცვლილებებმა (მაგალითად, სემინტების იდენტიფიკაციის მოთხოვნების შეცვლა და მნიშვნელოვანი საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი

სეგმენტის შესახებ ინფორმაციის ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.);

- მნიშვნელოვანი ახალი ან შეცვლილი ინფორმაციის გამჟღავნება, რაც განაპირობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებში შესულმა ცვლილებებმა;
- აუდიტორის ექსპერტის მონაწილეობის საჭიროება კონკრეტულ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით ჩასატარებელ აუდიტის პროცედურებში აუდიტორის დასახმარებლად (მაგალითად, განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნება პენსიასა და შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის სხვა გასამრჯელოებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ); და
- გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა აუდიტორს შეიძლება სურდეს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან.¹³

აუდიტის მსვლელობისას საგემო გადაწყვეტილებებში შეტანილი ცვლილებები (იხ: მე-10 პუნქტი)

გ18. მოულოდნელი მოვლენების, პირობების შეცვლის ან ჩატარებული აუდიტის პროცედურების შედეგად მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების გათვალისწინებით, აუდიტორს შეიძლება დასჭირდეს აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის გეგმის შეცვლა და, აქედან გამომდინარე, დაგეგმილი დამატებითი აუდიტის პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის შეცვლა, შეფასებული რისკების განსხვავებულად გათვალისწინებით. ასეთი რამ შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც აუდიტორისთვის ცნობილი ხდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება აუდიტორის მიერ აუდიტის პროცედურების დაგეგმვის დროს მოპოვებული ინფორმაციისაგან. მაგალითად, ძირითადი პროცედურების ჩატარების შედეგად მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონტროლის ტესტების ჩატარების შედეგად მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს.

დოკუმენტაცია (იხ: მე-12 პუნქტი)

გ19. აუდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტაცია მოიცავს იმ ძირითად გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება გარიგების დონეზე ხარისხის მართვას, ასევე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გარიგების გუნდის ინფორმირების საშუალებების აღწერას. მაგალითად, აუდიტორმა აუდიტის საერთო სტრატეგია შეიძლება შეაჯამოს იმ ძირითადი

¹³ ასს 260 (გადასინჯული) - „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება“; პუნქტი გ13.

გადაწყვეტილებების მემორანდუმში, რომლებიც შეეხება აუდიტის საერთო მასშტაბს, ვადებსა და ჩატარებას.

- გ20. აუდიტის გეგმის დოკუმენტაციაში აისახება რისკების შესაფასებლად დაგეგმილი პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, ასევე დამატებითი აუდიტის პროცედურები მტკიცების დონეზე შეფასებულ რისკებზე რეაგირებისთვის. დოკუმენტაცია ასევე გამოდგება აუდიტის პროცედურების სათანადოდ დაგეგმვის დამამტკიცებელ საბუთად, რომლის განხილვა და დამტკიცება შესაძლებელია მათი ჩატარების დაწყებამდე. აუდიტორს უფლება აქვს, გამოიყენოს აუდიტის სტანდარტული პროგრამები ან აუდიტის ჩატარების საკონტროლო კითხვარები, რომლებიც საჭიროების მიხედვით იქნება მორგებული კონკრეტული გარიგების გარემოებების ასახვის მიზნით.
- გ21. აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტის გეგმაში შეტანილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების ამსახველი დოკუმენტი და აუდიტის პროცედურების ხასიათში, ვადებსა და მოცულობაში შეტანილი შესაბამისი ცვლილებები გვიჩვენებს, რამ განაპირობა ეს მნიშვნელოვანი ცვლილებები და რატომ იქნა საბოლოოდ მიღებული აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა მოცემული აუდიტისთვის. დოკუმენტაცია ასევე ასახავს აუდიტის განმავლობაში მომხდარ მნიშვნელოვანი ცვლილებების საპასუხოდ აუდიტორის მიერ დაგეგმილ სათანადო ღონისძიებებს.
- გ22. ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად განხორციელებული გარიგების გუნდის წევრების ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მათი სამუშაოს მიმოხილვის დოკუმენტაცია შესაძლოა მოიცავდეს ასევე ზემოაღნიშნული ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და მიმოხილვის დაგეგმილ ხასიათში, ვადებსა და მასშტაბში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერასაც.

მცირე სუბიექტებთან დაკავშირებული მოსაზრებები

- გ23. როგორც გ11 პუნქტში იყო განხილული, მცირე სუბიექტის აუდიტისთვის სტრატეგიის დოკუმენტად შეიძლება გამოდგეს შესაფერისი მოკლე მემორანდუმი. აუდიტის გეგმის შესადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რამდენიმე კონტროლის პროცედურის¹⁴ საფუძველზე შედგენილი აუდიტის სტანდარტული პროგრამები ან საკონტროლო კითხვარები (იხ. პუნქტი გ19), რომლებიც, სავარაუდოდ, იარსებებს მცირე სუბიექტში, იმ პირობით, რომ ისინი ადაპტირებული

¹⁴ ასს 315 (გადასინჯული 2019 წელს), 26(ა) პუნქტი.

იქნება მოცემული გარიგების კონკრეტული გარემოებების, მათ შორის, რისკების აუდიტორისეული შეფასებების გათვალისწინებით.

დამატებითი მოსაზრებები პირველი აუდიტის გარიგების შესახებ

(იხ: მე-13 პუნქტი)

გ24. აუდიტის დაგეგმვის მიზანი და ამოცანა ერთნაირია პირველ აუდიტშიც და განმეორებით აუდიტშიც. თუმცა, პირველი აუდიტისთვის აუდიტორს შეიძლება დასჭირდეს დაგეგმვის სამუშაოების გაფართოება, ვინაიდან აუდიტორს, როგორც წესი, არა ექნება ამ სუბიექტთან ადრინდელი მუშაობის გამოცდილება, რაც გაითვალისწინება განმეორებითი აუდიტის გარიგებების დაგეგმვის დროს. ქვემოთ განხილულია დამატებითი საკითხები, რომლებიც შეიძლება გაითვალისწინოს აუდიტორმა პირველი აუდიტის გარიგებისთვის აუდიტის საერთო სტრატეგიისა და აუდიტის გეგმის შემუშავების დროს:

- თუ კანონმდებლობით არ იკრძალება, აუცილებელია შეთანხმების მიღწევა წინამორბედ აუდიტორთან, მაგალითად წინამორბედი აუდიტორის სამუშაო დოკუმენტების განხილვის შესაძლებლობის თაობაზე;
- ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი (მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების, ან აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება), რომელიც განხილული იყო ხელმძღვანელობასთან აუდიტორების თავდაპირველი შერჩევის დროს, ამ საკითხების ინფორმირება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის და რა გავლენას ახდენს ეს საკითხები აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტის გეგმაზე;
- აუდიტის პროცედურები, რომელთა ჩატარება აუცილებელია საწყისი ნაშთების შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად;¹⁵
- სხვა საპასუხო ზომები, რომლებიც ფირმას შემუშავებული და დაწერილი აქვს პირველი აუდიტის გარიგებებისთვის (მაგალითად, ფირმის ხარისხის მართვის სისტემა შეიძლება მოითხოვდეს სხვა პარტნიორის ან სხვა სათანადო უფლებამოსილების მქონე პირის მონაწილეობას აუდიტის საერთო სტრატეგიის მიმოხილვაში მნიშვნელოვანი აუდიტის პროცედურების დაწყებამდე, ან აუდიტორის დასკვნის განხილვაში მისი საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებამდე).

15. ასს 510 - „პირველი აუდიტის გარიგება – საწყისი ნაშთები“.

დანართი

(იხ: პუნქტები მე-7-8 და გ8-გ11)

აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

დანართში განხილულია ისეთი საკითხების მაგალითები, რომელთა გათვალისწინება აუდიტორს შეუძლია გარიგების დონეზე ხარისხის მართვისას. ამ საკითხებიდან ბევრი გავლენას იქონიებს აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტორის დეტალურ გეგმაზე. მაგალითები ბევრ ისეთ საკითხს მოიცავს, რომელიც მრავალ გარიგებას შეეფერება. ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ზოგიერთის გათვალისწინება შეიძლება სხვა ასს-ებით მოითხოვებოდეს. ამასთან, ყველა საკითხი ვერ იქნება აუდიტის ყველა გარიგებისთვის შესაფერისი და არც საკითხების ჩამონათვალია სრულყოფილი.

გარიგების თავისებურებები

- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები, რომლის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ინფორმაცია, რომლის აუდიტიც უნდა ჩატარდეს, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის რომელიმე სხვა საფუძვლებთან შეჯერების აუცილებლობა.
- დარგისთვის დამახასიათებელი საანგარიშგებო მოთხოვნები, როგორცაა დარგის მარეგულირებელი ორგანოების მიერ დადგენილი ანგარიშგების წარდგენა.
- აუდიტის გავრცელების მოსალოდნელი არეალი, მათ შორის, აუდიტს დაქვემდებარებული კომპონენტების რაოდენობა და ადგილსამყოფელი.
- სათავო სუბიექტსა და მის კომპონენტებს შორის არსებული მაკონტროლებელი ურთიერთობების ხასიათი, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს ჯგუფის კონსოლიდაცია.
- რა მოცულობით უნდა ჩატარდეს კომპონენტების აუდიტი სხვა აუდიტორების მიერ.
- იმ სამეურნეო სეგმენტების ხასიათი, რომელთა აუდიტიც უნდა ჩატარდეს, მათ შორის, სპეციალური ცოდნის საჭიროება.
- გამოსაყენებელი საანგარიშგებო ვალუტა, მათ შორის, იმ ფინანსური ინფორმაციის სხვა ვალუტაში გადაყვანის საჭიროება, რომლის აუდიტიც ტარდება.
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარდა, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების აუცილებლობა, კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად.

- აქვს თუ არა სუბიექტს შიდა აუდიტის განყოფილება და თუ აქვს, შესაძლებელია თუ არა მათ სამუშაოზე დაყრდნობა, ან რომელ სფეროებში და რა დონეზე არის შესაძლებელი, ან შესაძლებელია თუ არა შიდა აუდიტორების გამოყენება გარე აუდიტში უშუალო დახმარების გაწევის მიზნით. შიდა აუდიტორების სამუშაოს ხელმისაწვდომობა და ასეთ სამუშაოზე აუდიტორის შესაძლო დაყრდნობის დონე.
- სუბიექტის მიერ მომსახურე ორგანიზაციების გამოყენება და როგორ შეიძლება მოიპოვოს აუდიტორმა მტკიცებულებები მათ მიერ შესრულებული კონტროლის პროცედურების დიზაინის ან ფუნქციონირების შესახებ.
- რა სახით შეიძლება წინა წლების აუდიტორული შემოწმებისას მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებების გამოყენება, მაგალითად აუდიტის მტკიცებულებების, რომლებიც დაკავშირებულია რისკის შეფასების პროცედურებთან და კონტროლის ტესტებთან.
- საინფორმაციო ტექნოლოგიის გავლენა აუდიტის პროცედურებზე, მათ შორის, მონაცემებზე ხელმისაწვდომობა და კომპიუტერული აუდიტის ტექნიკის მოსალოდნელი გამოყენება.
- შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვასთან დაკავშირებით ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობისა და ვადების კოორდინირება და ამგვარი მიმოხილვის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გავლენა აუდიტზე.
- დამკვეთის პერსონალისა და მონაცემების ხელმისაწვდომობა.

აუდიტორის საანგარიშგებო მიზნები, აუდიტის ჩატარების ვადები და ინფორმირების ხასიათი

- სუბიექტის ანგარიშგების წარდგენის განრიგი, მაგალითად აუდიტის შუალედურ ან საბოლოო სტადიაზე.
- ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრების ორგანიზება აუდიტის სამუშაოს ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსახილველად.
- ხელმძღვანელობასა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად აუდიტორების მიერ წარსადგენი ანგარიშების სავარაუდო ტიპებისა და წარდგენის ვადების, ასევე წერილობით თუ სიტყვიერად მისაწოდებელი სხვა ინფორმაციის განხილვა, მათ შორის, აუდიტორის დასკვნის, ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი წერილებისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირების.

- ხელმძღვანელობასთან ერთად ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება გარიგების მსვლელობისას აუდიტის სამუშაოთა მდგომარეობის/ მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებას.
- კომპონენტების აუდიტორების ინფორმირება წარსადგენი ანგარიშების სავარაუდო ტიპებისა და წარდგენის ვადების, ასევე კომპონენტების აუდიტთან დაკავშირებით სხვა მისაწოდებელი ინფორმაციის შესახებ.
- გარიგების გუნდის წევრებს შორის კომუნიკაციის სავარაუდო ხასიათი და ვადები, მათ შორის, გუნდის შეხვედრების ხასიათი და ვადები და შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის ვადები.
- აუცილებელია თუ არა მესამე მხარეების რაიმე სახით ინფორმირება აუდიტთან დაკავშირებით, მათ შორის, კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარიგების დადებამდე ჩასატარებელი სამუშაოები და სხვა გარიგებების შესრულების შედეგად მიღებული გამოცდილება

- არსებითობის დადგენა ასს 320-ის¹ შესაბამისად და სადაც შესაფერისია:
 - არსებითობის დადგენა კომპონენტებისთვის და კომპონენტების აუდიტორების ინფორმირება მის შესახებ, ასს 600-ის² შესაბამისად;
 - მნიშვნელოვანი კომპონენტებისა და ფინანსური ოპერაციების არსებითი კატეგორიების, ანგარიშის ნაშთებისა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გასამყდავნებელი ინფორმაციის წინასწარ განსაზღვრა;
- იმ სფეროების წინასწარ განსაზღვრა, სადაც შეიძლება მაღალი იყოს არსებითი უზუსტობის რისკი;
- მთლიანად ფინანსური ანგარიშგების დონეზე შეფასებული არსებითი უზუსტობის რისკის გავლენა აუდიტის სამუშაოთა ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე;
- მეთოდი, რომლის მეშვეობითაც აუდიტორი გარიგების გუნდის წევრების ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ აუდიტის მტკიცებულებების შეკრებისა და შეფასებისას აუცილებელია კრიტიკული აზროვნების შენარჩუნება და პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედება;

1. ასს 320 - „არსებითობა აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების დროს“.

2. ასს 600 - „სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)“, პუნქტები 21-23-ე და 40(გ).

- წინა პერიოდების აუდიტის შედეგები, რაც მოიცავდა შიდა კონტროლის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასებას, მათ შორის, გამოვლენილი ნაკლოვანებების ხასიათი და მათ მოსაგვარებლად გატარებული ზომები;
- სუბიექტისთვის სხვა მომსახურების შესრულებაზე პასუხისმგებელ ფირმის პერსონალთან ერთად ისეთი საკითხების განხილვა, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აუდიტზე;
- მტკიცებულება ხელმძღვანელობის ვალდებულებაზე ძლიერი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასთან, დანერგვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მათ შორის მტკიცებულება შიდა კონტროლის სათანადო დოკუმენტირებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებში შესული ცვლილებები, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შესული ცვლილებები, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს მნიშვნელოვან ახალ ან შეცვლილ მოთხოვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში გასამ-ქლავნებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- ოპერაციების მოცულობა, რის მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს, უფრო ეფექტური იქნება თუ არ აუდიტორისათვის შიდა კონტროლზე დაყრდნობა;
- სუბიექტში მოქმედი შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელობა სუბიექტის საქმიანობის წარმატებებისთვის;
- პროცეს(ებ)ი, რომელსაც (რომლებსაც) ხელმძღვანელობა იყენებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებით მოთხოვნილი ახსნა-განმარტებების დასადგენად და მოსამზადებლად, მათ შორის ისეთი ინფორმაციის, რომლებიც ამოღებული არ არის სუბიექტის მთავარი და დამხმარე საბუღალტრო წიგნებიდან;
- მნიშვნელოვანი მიღწევები ბიზნესში, რომლებიც გავლენას ახდენს სუბიექტზე, მათ შორის, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ბიზნესპროცესებში მომხდარი ცვლილებები, ცვლილებები წამყვან ხელმძღვანელ პერსონალში და სხვა სუბიექტების შექმნა, შერწყმა და ინვესტიციების შეკვეცა;
- მნიშვნელოვანი დარგობრივი მოვლენები, როგორცაა ცვლილებები დარგის მარეგულირებელ ნორმებში და ახალი საანგარიშგებო მოთხოვნები;
- სხვა მნიშვნელოვანი შესაფერისი მოვლენები, როგორცაა საკანონმდებლო გარემოში მომხდარი ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს სუბიექტზე.

რესურსების ხასიათი, ვადები და მოცულობა

- ადამიანური, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსები, რომლებიც გამოყოფილი ან ხელმისაწვდომია გარიგებისთვის (მაგ., გარიგების გუნდის დაკომპლექტება და აუდიტის სამუშაოს განაწილება გუნდის წევრებზე, მათ შორის, სათანადო გამოცდილების მქონე გუნდის წევრების განაწილება ისეთ სფეროებში, სადაც შეიძლება მაღალი იყოს არსებითი უზუსტობის რისკები.).
- გარიგების ბიუჯეტის შედგენა, მათ შორის, შესაფერისი ოდენობის დროის გათვალისწინება ისეთი სფეროებისთვის, სადაც შეიძლება მაღალი იყოს არსებითი უზუსტობის რისკები.

ეთიკისა და აუდიტის საერთაშორისო ფონდი (IFEA), აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAASB®) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC®) კასუსს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე მოქმედების ან თავის შეკავების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

International Standards on Auditing (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Assurance Engagements (მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Review Engagements (მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Quality Management (ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებს), International Standards on Related Services (აუდიტთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებს), International Auditing Practice Notes (აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის შენიშვნებს), განსახილველ პროექტებს, საკონსულტაციო დოკუმენტებსა და IAASB-ს სხვა პუბლიკაციებს გამოსცემს IFAC და საავტორო უფლებაც IFAC-ს ეკუთვნის.

საავტორო უფლება © 2023 წლის ოქტომბერი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია. პირადი ან არაკომერციული სარგებლობისთვის (ე.ი. პროფესიული ან კვლევის მიზნებისთვის) შესაძლებელია ამ სახელმძღვანელოს ორიგინალური ვერსიის უფასოდ გადმოწერა ან შექმნა www.iaasb.org ვებგვერდის მეშვეობით. ამ დოკუმენტის თარგმნის, გამრავლების, შენახვის, გადაცემის ან სხვა ანალოგიური წესით გამოყენებისთვის აუცილებელია IFAC-ის წერილობითი ნებართვა.

The 'International Auditing and Assurance Standards Board', 'International Standards on Auditing', 'International Standards on Assurance Engagements', 'International Standards on Review Engagements', 'International Standards on Quality Management', 'International Standards on Related Services', 'International Auditing Practice Notes', 'IAASB', 'ISA', 'ISAE', 'ISRE', 'ISRS', 'ISQM', 'IAPN' და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

IAASB-ს საქმიანობისთვის აუცილებელი პროცესების განხორციელებას ხელს უწყობს IFAC.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ [permissions](mailto:permissions@ifac.org) ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.



529 Fifth Avenue, New York, NY 10017
T+1(212) 286-9344 F+1(212) 286-9570
www.iaasb.org

978-1-60815-567-5

წინამდებარე ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი, 2022 წლის გამოცემა, რომელიც მოამზადა International Auditing and Assurance Standards Board და 2023 წლის ოქტომბერში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants (IFAC), ქართულ ენაზე თარგმნა ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2024 წლის მაისში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის 2022 წლის გამოცემის თარგმნის პროცედურული პროცესი განიხილა IFAC-მა და თარგმანი შესრულდა „დადგენილება პოლიტიკის შესახებ - IFAC-ის მიერ გამოცემული სტანდარტების თარგმნისა და გამრავლების პოლიტიკა“ - შესაბამისად. ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარის 2022 წლის გამოცემის დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ცნობარის გამოყენებას.

ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი, 2022 წლის გამოცემა, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2023 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი, 2022 წლის გამოცემა, ქართულენოვანი ტექსტი © 2024 წ. International Federation of Accountants (IFAC). ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: *Handbook of International Quality Management, Auditing, Review, Other Assurance, and Related Services Pronouncements, 2022 Edition*, ISBN: 978-1-60815-546-0

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: Permissions@ifac.org

სავაჭრო ნიშნები, რეგისტრირებული
სავაჭრო ნიშნები და მომსახურების ნიშნები

International Auditing and Assurance Standards Board®

IAASB®



International Standards on Auditing®
International Standards on Assurance Engagements™
International Standards on Review Engagements™
International Standards on Related Services™
International Standards on Quality Management™
International Auditing Practice Notes™

ISA®

ISAE™

ISRE™

ISRS™

ISQM™

IAPN™